ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48220331**

თარიღი:**02/02/2022**

„ქალაქ წყალტუბოში: გ.ტაბიძის, 9 აპრილის, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების დამაკავშირებელ მონაკვეთზე, გზაჯვარედინთან გამავალ სარკინიგზო ლიანდაგზე, საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის **2022 წლის 28 იანვრის №ბ48.482202811** ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ წყალტუბოში: გ.ტაბიძის, 9 აპრილის, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების დამაკავშირებელ მონაკვეთზე, გზაჯვარედინთან გამავალ სარკინიგზო ლიანდაგზე, საფეხმავლო და საავტომობილო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის **2022 წლის 28 იანვრის №ბ48.482202811** ბრძანება.

2.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი